

# პირადი და სახელმწიფო უსაფრთხეება: საზოგადოების დამოკიდებულება და აღჭმები



2022



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



საქართველოს  
ეპულარიზაციის  
მინისტრის  
აღმისაჩინი

## პირადი და სახელმწიფო უსაფრთხოება: საზოგადოების დამოკიდებულება და აღქმები 2022

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებლები არიან CRRC-საქართველო, სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# სარჩევი

დიაგრამების სარჩევი .....	4
შესავალი.....	5
ძეთოდოლოგია .....	6
კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება.....	7
კვლევის შედეგები .....	11
ზოგადი მოსაზრება ქვეყანაში უსაფრთხოების მდგომარეობაზე და დაცულობის აღქმა .....	12
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა აღქმა დაცულობასა და საფრთხეებზე .....	18
ინფორმირებულობა უსაფრთხოების ორგანოების შესახებ .....	19
დამოკიდებულება უსაფრთხოების სისტემის ძირითადი შემადგენელი ინსტიტუტების მიმართ .....	23
შინაგან საქმეთა სამინისტრო .....	27
თავდაცვის სამინისტრო .....	28
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური .....	30
შეხედულებები უსაფრთხოების სექტორსა და მარგინალურ ჯგუფებზე.....	32
წარმოდგენები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონთან გამყოფი ხაზის მაცხოვრებლების მდგომარეობაზე .....	35
დასკვნა .....	38
დანართი: სიხშირის ცხრილები .....	40
II ბლოკი: ზოგადი კითხვები .....	41
III ბლოკი: მოსახლეობის ინფორმირებულობა უსაფრთხოების ორგანოების საქმიანობაზე .....	47
IV ბლოკი: მოსახლეობის აღქმები უსაფრთხოების ორგანოებზე .....	50
V ბლოკი: უსაფრთხოების სექტორი და მარგინალური ჯგუფები .....	55
VI ბლოკი: სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის მცხოვრებლები.....	57

# დიაგრამების სარჩევი

დიაგრამა 1: ზოგადად, რამდენად დაცულად გრძნობთ თავს საქართველოში? (%) .....	12
დიაგრამა 2: ზოგადად, რამდენად დაცულად გრძნობთ თავს საქართველოში? (%), განსხვავებები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის) .....	13
დიაგრამა 3: ბარათზე მოცემული ჩამონათვალიდან რომელი წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალ რისკს? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი (%) .....	15
დიაგრამა 4: გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (%) .....	17
დიაგრამა 5: გრძნობთ თუ არა, რომ საქართველოში თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა უსაფრთხოება დაცულია? (%) (კითხვას უპასუხეს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა).....	18
დიაგრამა 6: სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმაზე, თუ რას ნიშნავს უსაფრთხოება. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ასეთ დებულებას და მითხარით, ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მეტად რომელი შეესაბამება თქვენს შეხედულებას. (%) .....	20
დიაგრამა 7: რამდენად კარგად იცნობთ შემდეგი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას? (%) .....	21
დიაგრამა 8: რამდენად გრძნობთ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას, რომ უსაფრთხოების სამსახურები... თქვენ ამას გრძნობთ ყოველთვის, ზოგჯერ, თუ არასდროს? (%) .....	24
დიაგრამა 9: რას მოიმოქმედებთ, თუკი უსაფრთხოების სამსახურები თქვენს უფლებებს დაარღვევენ? (%) ....	25
დიაგრამა 10: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ...? (%) .....	26
დიაგრამა 11: თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან? (%) .....	28
დიაგრამა 12: თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან? (%) .....	29
დიაგრამა 13: რამდენად ეფექტურად იცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)...? (%) .....	30
დიაგრამა 14: თქვენი აზრით, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები ... იმაზე მეტად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე საჭიროა, სათანადოდ არიან წარმოდგენილნი, თუ იმაზე ნაკლებად, ვიდრე საჭიროა? (%) .....	32
დიაგრამა 15: ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე მოსაზრებას. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მათგანს? (%) .....	34
დიაგრამა 16: თქვენი აზრით, რამდენად საკმარისია ან არ არის საკმარისი საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რევიონებში მიღებული უსაფრთხოების ზომები? (%) .....	36
დიაგრამა 17: რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად? (%) .....	37

## შესავალი

პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“ ფარგლებში, რომელსაც „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ პარტნიორებთან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და CRRC-საქართველოსთან ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩატარა მოსახლეობის გამოკითხვა პირადი და სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ. გამოკითხვა 2022 წლის 27 მაისიდან 3 ივლისამდე პერიოდს მოიცავდა და მის ფარგლებში 2 544 ინტერვიუ ჩატარდა. კვლევის შედეგები წარმომადგენლობითია და, ცდომილების ფარგლებში, მათი განზოგადება შესახლებელია საქართველოს სრულწლოვან მოსახლეობაზე, ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქების, სოფლებისა და ეთნიკური უმცირესობებით მჯიდროდ დასახლებული არეალების მოსახლეობაზე.

პროექტის მთავარი მიზანი უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგის გაუმჯობესება და უსაფრთხოების სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების ამაღლებაა, რომელიც ანალიზის, ადვოკატირებისა და ცნობიერების გაზრდის პროგრამების გზით უნდა განხორციელდეს. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ნაწილია მოსახლეობაში არსებული დამოკიდებულებებისა და აღქმების კვლევა იმის გასაგებად, თუ რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა უსაფრთხოების სახელმწიფო სისტემის შესახებ, რამდენად დაცულად გრძნობს თავს და რა წარმოდგენა აქვს საზოგადოების სხვა ჯგუფების დაცულობის თაობაზე.

წინამდებარე ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს კვლევის მეთოდოლოგიას და აჯამებს საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს შემდეგი საკითხების მიხედვით: საქართველოს მოსახლეობის ზოგადი მოსაზრება ქვეყანაში უსაფრთხოების მდგომარეობის მიმართ და დაცულობის აღქმა, მოსახლეობის ინფორმირებულობა სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების შესახებ, დამოკიდებულება უსაფრთხოების სისტემის ძირითადი შემადგენელი ინსტიტუტების მიმართ, შეხედულებები უსაფრთხოების სექტორსა და მარგინალურ ჯგუფებზე და წარმოდგენები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონთან გამყოფი ხაზის მაცხოვრებლების მდგომარეობაზე.

## მეთოდოლოგია

საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა პირადი და სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ 2022 წლის 27 მაისიდან 3 ივლისამდე პერიოდში ჩატარდა. კვლევა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. პირველ რიგში, განისაზღვრა საკვლევი თემა და „სოციალური სამართლიანობის ცენტრთან“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ მჯიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კითხვარი. შემდეგ გაკეთდა შერჩევა, ჩატარდა საპილოტე ინტერვიუები, რის მიხედვითაც გარკვეული ცვლილებები შევიდა კითხვარში. ამის შემდეგ კი დაიწყო საველე სამუშაოები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა (მონაცემთა ბაზა გაიწმინდა და შეიწონა შერჩევის აღბათობისა და დემოგრაფიულ კვეთებში რესპონდენტების განაწილების მიხედვით) და გაანალიზდა.

კვლევამ მოიცვა ქვეყნის სრულწლოვანი მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის გარდა. მთლიანობაში გამოიკითხა 2 544 ადამიანი პირისპირ ინტერვიუს (CAPI - Computer Assisted Personal Interviewing) მეთოდით. შერჩევა წარმომადგენლობითი იყო საქართველოს, ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობებით (აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობებით) მჯიდროდ დასახლებული არეალების დონეზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ცდომილების ფარგლებში, შესაძლებელია კვლევის შედეგების განზოგადება მითითებულ კვეთებზე. შერჩევის დროს გამოყენებული იყო სტრატიფიცირებული კლასტერული დიზაინი. კლასტერები შეირჩა ზომის პროპორციული აღბათობით. შერჩეულ კლასტერებში შინამეურნეობები აღბათური პრინციპის დაცვით, სამარშრუტო შერჩევით შეირჩა, შინამეურნეობაში კი თითო რესპონდენტი - კიშის ცხრილის მიხედვით. ცდომილების საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე 2.1%-ს შეადგენს.

ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილები და დიაგრამები „ექსელის“ პროგრამაშია მომზადებული. შესაბამისად, ამ პროგრამის დამრგვალების წესის გამო, რიგ შემთხვევაში პროცენტები შეიძლება 100-ად არ დაჭამდეს და მთელი რიცხვების შეკრებამ 99/101 პროცენტი შეადგინოს.

## კვლევის შედეგების მოკლე შეჩამება

პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“ ფარგლებში, რომელსაც „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ პარტნიორ ორგანიზაციებთან, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩატარა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვა პირადი და სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების შესახებ. გამოკითხვის საველე სამუშაოები 2022 წლის 27 მაისიდან 3 ივლისამდე პერიოდში ჩატარდა და ჯამში 2 544 სრულწლოვანი ადამიანი გამოიკითხა. კვლევის შედეგების განზოგადება, ცდომილების ფარგლებში, შესაძლებელია როგორც საქართველოს მთლიან მოსახლეობაზე, ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქების, სოფლებისა და ეთნიკური უმცირესობებით მჯდოროდ დასახლებული არეალების მოსახლეობაზე.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობის მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება არაერთგვაროვანია. მოსახლეობის 38 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის, მესამედი არასწორად აფასებს ქვეყნის კურსს, ხოლო მეხუთედისთვის საქართველო არ იცვლება. დაცულობის შეგრძნება მეტი ან ნაკლები ინტენსივობით უმრავლესობას (69%) აქვს. კაცები, საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანები, სოფლებში მცხოვრები, ხელისუფლების მხარდაჭერი არხების მაყურებლები და მმართველი პარტიის მომხრეები თავს სხვებზე მეტად დაცულად გრძნობენ. საინტერესოა, რომ 2012 წელთან შედარებით ამჟამად დაცულობის შეგრძნება მოსახლეობის მესამედისთვის არ შეცვლილა, ხოლო 38 პროცენტი ახლა უფრო დაცულად გრძნობს თავს.

რაც შეეხება უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალი რისკის აღქმას, ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ, რაც მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა დაასახელა, სიღარიბე და რუსეთიდან მომდინარე სამხედრო აგრესის შესაძლებლობაა. ასევე, საინტერესოა, რომ მოსახლეობის მეხუთედზე მეტი საფრთხედ რუსეთ-უკრაინის ომს, კრიმინალსა და ბუნებრივ კატასტროფებს მიიჩნევს. მთლიანობაში მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ქვეყნის მიერ უსაფრთხოების რისკებთან გამკლავებას დადებითად აფასებს. ეს შეფასება დადებითია მათ შემთხვევაშიც, ვინც მთავარ რისკად რუსეთ-უკრაინის ომი დაასახელა. თუმცა, შეფასება უარყოფითისკენ იხრება მათ შემთხვევაში, ვისი აზრითაც, საქართველოს უსაფრთხოების მთავარი რისკი სიღარიბეა.

მიუხედავად მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილის მიერ ქვეყანაში არსებული ზოგადი უსაფრთხოების მდგომარეობის დადებითი შეფასებებისა, დიდი უმრავლესობა (69%) თანხმდება იმაზე, რომ

საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია და აუცილებელ რეფორმებს საჭიროებს.

რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, მათი 73 პროცენტის თქმით, საქართველოში მათი ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოება დაცულია და მხოლოდ ცამეტი პროცენტია, ვინც ნაკლებად დაცულად გრძნობს თავს. ამ უკანასკნელთა აზრით, საფრთხე უმეტესად რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან მომდინარეობს. ხოლო თუ საკუთრივ რა საფრთხეს ხედავენ უმცირესობები მათი ეთნიკური ჯგუფისთვის საქართველოში, ეს პასუხები დასახელებულ საფრთხის წყაროებთან თანხვედრაში არ არის. სამი ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხია: საკუთარი ენის დაკარგვის საფრთხე, პოლიციისა და სხვა ორგანოების მხრიდან გადაჭარბებული კონტროლი და დასჭა და სოციალური დახმარების მოხსნის შიში.

უსაფრთხოება მოსახლეობისთვის, პირველ რიგში, სამხედრო უსაფრთხოებას და ადამიანების ფიზიკურ დაცულობას უკავშირდება. პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური უსაფრთხოება მომდევნო მნიშვნელოვანი განზომილებებია. ამის შესაბამისად, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებად მოსახლეობა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს მიიჩნევს.

ამ უწყებების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი თავს ინფორმირებულად არ მიიჩნევს. ინფორმირებულობის აღქმა განსაკუთრებით დაბალია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შემთხვევაში. მოსახლეობის ინფორმაციის წყარო ძირითადად ტელევიზია და სოციალური ქსელებია. ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ოთხი უწყების ფუნქციების შესახებ კითხვებზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმეტესად სწორად პასუხობს. საინტერესოა, რომ ყველა ამ უწყების შემთხვევაში, მოსახლეობის საკმაოდ დიდი წილი მათ ფუნქციად მოქალაქეების დაცვას ასახელებს. ფუნქციების შესახებ კითხვებშიც ნაკლებია ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიმართ. მაგალითად, ანალიტიკური საქმიანობა, რაც ოთხივე უწყების მუშაობის მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა დაასახელა, რაც ისევ მათ ნაკლებ ინფორმირებულობას ადასტურებს.

რაც შეეხება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიმართ დამოკიდებულებას, მოსახლეობის უმრავლესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ კონტროლსა და ჩარევას არ გრძნობს. მოსახლეობის ნახევარზე მეტი და, ზოგ შემთხვევაში, უფრო დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ უსაფრთხოების სამსახურები მათ სატელეფონო საუბრებს არ უსმენს, სოციალურ ქსელებს არ ამოწმებს, ინფორმატორების ან თვალთვალის საშუალებით მათ არ აკონტროლებს. თუმცა, ჩამოთვლილთაგან

ადამიანების შედარებით მეტმა წილმა (36%) თქვა, რომ მათ სატელეფონო საუბრებს ყოველთვის ან ზოგჯერ უსმენენ.

უსაფრთხოების სამსახურების მიერ უფლებების დარღვევების შემთხვევაში, მოსახლეობის მესამედი ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს მიმართავს. მეორე ყველაზე ხშირი პასუხი ამ კითხვაზე, რასაც მოსახლეობის მეათედზე მეტი ამბობს, არის: მოვითმენ და ხმას არ ამოვიღებ, რადგან უბრალო ადამიანებისთვის ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია.

კონკრეტული უწყებების მიმართ კითხვებში გამოვლინდა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მათ მიმართ საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება აქვს, მაგალითად, უმრავლესობა ნაწილობრივ ან სრულად ენდობა თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ამ უწყებების მუშაობას მოსახლეობის ნახევარზე მეტი ან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში, 40 პროცენტზე მეტი, ეფექტურად აფასებს. სამი დემოკრატიული ღირებულება, რაც სამივე უწყებას სრულად ან ნაწილობრივ ახასიათებს, პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და ადამიანის უფლებების პატივისცემაა. თუმცა, ამავდროულად მოსახლეობის 40 პროცენტი ან მეტი ამ უწყებებს პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან თავისუფლად არ მიიჩნევს.

რაც შეეხება უსაფრთხოების სექტორსა და მარგინალურ ჯგუფებს, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობებს თანასწორად ეპყრობა. მოსახლეობის ნახევარმა ვერ გასცა პასუხი კითხვას 2012 წლის შემდეგ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი უსამართლობის შესახებ და, 16 პროცენტის თქმით, ასეთი რამ ამ პერიოდში არ მომხდარა.

თავად ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებაც დადებითია. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ეთნების მოსაზრებას, რომ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები საქართველოში უცხოები არ არიან (88%) და სახელმწიფო სრულად უნდა იცავდეს მათ უფლებებს (90%) და მეტი ძალისხმევა გასწიოს მათ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩასართავად (70%). მეორეს მხრივ, მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები სათანადოდ არიან წარმოდგენილნი პარლამენტში, აღმასრულებელ თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში, პოლიტიკურ პარტიებსა და მედიაში.

თუმცა, მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ამ შემთხვევაში ფიქრობს, რომ უმცირესობები იმაზე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე საქიროა. ამ კითხვებზე მოსახლეობის ასევე მეოთხედს ან მეტს პასუხი არ აქვს.

მოსახლეობის ინფორმირებულობა საკმაოდ დაბალია სამხრეთ ოსეთის/ცხილვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ვითარებაზე. ამასთანავე, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები საკმარისი არ არის და მთავრობამ უნდა გაამკაცროს კონტროლი გამყოფი ხაზის გარშემო ადმინისტრაციულ საზღვარზე და გააძლიეროს პოლიციის მუშაობა ამ რეგიონებში მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად.


## კვლევის შედეგები

მოსახლეობის გამოკითხვა პირადი და სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ რამდენიმე საკითხს მოიცავს: მოსახლეობის ზოგად მოსაზრებებს ქვეყანაში უსაფრთხოების მდგომარეობაზე და მათი დაცულობის აღქმას, ინფორმირებულობას უსაფრთხოების სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ, კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) შესახებ, დამოკიდებულებას ამ ინსტიტუტების მიმართ და უფრო კონკრეტულად წარმოდგენებს უმცირესობებისა და მარგინალური ჯგუფების დაცულობის შესახებ, ასევე, მათ აღქმას იმისა, თუ რა ვითარებაა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის რეგიონთან გამყოფი ხაზის პირა სოფლებში და რა უნდა გააკეთოს მთავრობამ ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

## ზოგადი მოსაზრება ევეყანაში უსაფრთხოების მდგომარეობაზე და დაცულობის აღზმა


მოსახლეობის მიერ ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებამდე, რესპონდენტებს ქვეყნის მიმართულების შეფასება სთხოვეს. მოსახლეობის 38 პროცენტმა თქვა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის, მესამედი (33%) ქვეყნის მიმართულებას არასწორად აფასებს, მეხუთედი (20%) მიიჩნევს, რომ საქართველოს განვითარების კურსი არ იცვლება, ხოლო დაახლოებით მეათედს ამაზე პასუხი არ აქვს (9% არ ვიცი/უარი პასუხზე).

რაც შეეხება დაცულობის შეგრძნებას, თუ რამდენად დაცულად გრძნობენ ადამიანები თავს საქართველოში, მოსახლეობის უმრავლესობა (69%) ამბობს, რომ თავს სრულიად დაცულად (28%) ან უფრო დაცულად გრძნობს, ვიდრე დაუცველად (41%). მოსახლეობის მეხუთედზე მეტი (22%) თავს უფრო დაუცველად გრძნობს საქართველოში, ვიდრე დაცულად, ხოლოც პროცენტმა აღნიშნა, რომ სრულიად დაუცველად გრძნობს თავს.



დოკუმენტი 1: ზოგადად, რამდენად დაცულად გრძნობთ თავს საქართველოში? (%)

რესპონდენტის სქესი, დასაქმების სტატუსი, რელიგია, საცხოვრებლის ტიპი, კონკრეტული ტელევიზიონისა და პოლიტიკური პარტიის მიმართ ნდობა გარკვეულწილად პროგნოზირებს ზოგადი უსაფრთხოების განცდას. კერძოდ, თავს უფრო დაცულად გრძნობენ კაცები, ქალებთან შედარებით; საჭარო სექტორში დასაქმებული ადამიანები, კერძო სექტორში დასაქმებულ და უმუშევარ ადამიანებთან შედარებით; ისლამის მიმდევრები, მართლმადიდებლებთან შედარებით; სოფლად მცხოვრები ადამიანები, დედაქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით. დაცულობის განცდა უფრო ნაკლებია ოპოზიციური მედიის მაყურებლებში და მათში, ვინც საერთოდ არ უყურებს ტელევიზიას, იმ ადამიანებთან შედარებით, ვინც უპირატესობას ხელისუფლების მხარდამჭერ ტელევიზიებს ანიჭებს. ასევე, მმართველი პარტიის მხარდამჭერებთან შედარებით, ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები და ისინი, ვინც არცერთ პარტიას უჭერს მხარს.<sup>1</sup>



**დიაგრამა 2:** ზოგადად, რამდენად დაცულად გრძნობთ თავს საქართველოში? (%) (განსხვავებები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის)

<sup>1</sup> უსაფრთხოების განცდის თვალსაზრისით ჯგუფთა შორის განსხვავების გამოვლენისთვის გამოვიყენეთ ორდინალური ღოვანისტიკური რეგრესიული ანალიზი. პრედიქტორებისგან შედგენილი რეგრესიული მოდელი მოიცავდა: რესპონდენტის სქესს, ასაკს, დასაქმების სტატუსს, განათლებას, ეთნიკურ ნარმობავლობას, რელიგიურ მიკუთხებულობას, რელიგიურ პრაქტიკებში ჩართულობის სიხშირეს, ეკონომიკურ მდგრამარეობას, იტულებით გადაადგილებული პირის სტატუსს, საცხოვრებელი ადგილის ტიპს, ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს, ტელევიზიებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობას. ანგარიშში მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებების შესახებ.

საინტერესოა, რომ მოსახლეობის დაახლოებით მესამედისთვის (32%) დაცულობის შეგრძნება 2012 წლის შემდეგ არ შეცვლილა, მეტი წილი (38%) თავს 2012 წელთან შედარებით ახლა უფრო დაცულად გრძნობს, ხოლო მოსახლეობის მეოთხედზე მეტი (26%) თავს ახლა უფრო დაუცველად გრძნობს.


ჯგუფების მიხედვით თუ შევხედავთ, 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით ქალები, ოპოზიციური მედიის მაყურებლები და ოპოზიციური პარტიის ან არაპარტიული მოქალაქეები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ მათი უსაფრთხოების განცდა შემცირდა. კითხვაზე, 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით, ამჟამად, უფრო მეტად, უფრო ნაკლებად თუ უცვლელად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, ქალების 30 პროცენტი, ხოლო კაცების 25 პროცენტი აღნიშნავს, რომ ამჟამად უფრო ნაკლებად დაცულად გრძნობს თავს. ოპოზიციურად განწყობილი ტელეარხების მაყურებლების 56 პროცენტი აღნიშნავს, რომ მისი უსაფრთხოების განცდა შემცირდა, ხოლო ასე თვლის პროსახელისუფლებო ტელევიზიის მაყურებელთა მხოლოდ 17 პროცენტი. ასევე, ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერების თითქმის ნახევარი (46%) მიუთითებს, რომ 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით ნაკლებად დაცულად გრძნობს თავს მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მეათედი (10%) უსაფრთხოების განცდის შესუსტებას განიცდის.

ასევე, საინტერესოა, რომ რაც უფრო მაღალია ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის მაჩვენებელი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ რესპონდენტის დაცულობის განცდა არ შეცვლილა 2012 წლამდე პერიოდთან მიმართებით.

გამოკითხვამ სცადა, მოსახლეობისგან გაეგო, თუ რამდენად განსაზღვრავს დაცულობის შეგრძნებას რამდენიმე ფაქტორი, მაგალითად: პოლიციის შენობის სიახლოვე ან უსაფრთხოების სამსახურებისთვის მიმართვის ცოდნა და შესაძლებლობა. ოთხი შესაძლო მიზეზიდან, რომელზეც რესპონდენტებს ჰკითხეს, საფრთხის შემთხვევაში ამ მიზეზით თუ გრძნობდა თავს დაცულად, მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი, უმრავლესობა (67%), დაეთანხმა იმას, რომ დაცულია, რადგანაც იცის, როგორ მიმართოს უსაფრთხოების სამსახურებს და ეს არ გაუჭირდება. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (49%) აცხადებს, რომ თავს დაცულად გრძნობს იმის გამო, რომ მის გარშემო მცხოვრებმა ხალხმა კარგად იცის, კრიზისულ სიტუაციაში როგორ მოიქცეს. ნახევარზე ნაკლები (45%) თავს დაცულად პოლიციის განყოფილების სიახლოვეში ცხოვრების გამო გრძნობს. როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობაში დაცულობის გრძნობას ყველაზე ნაკლებად მათ საცხოვრებელთან უსაფრთხო თავშესაფრების (ბუნკერების) არსებობა იწვევს, დიდ უმრავლესობას (84%) საფრთხის შემთხვევაში ე.წ. „ბუნკერების“ იმედი არ აქვს.

რაც შეეხება მოსახლეობის აღქმას იმაზე, თუ რა წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალ რისკს, მოსახლეობის ნახევარმა სიღარიბე დაასახელა. რუსეთიდან მომდინარე სამხედრო აგრესის შესაძლებლობა მეორე ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი იყო, იგი

უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალ რისკად მოსახლეობის 48 პროცენტმა ჩათვალა უსაფრთხოების ყველაზე მაღალ რისკად. რისკების ტოპ ხუთეულში ასევე მოხვდა რუსეთ-უკრაინის ომი (23%), კრიმინალი (22%) და ეკოლოგიური საფრთხეები/ბუნებრივი კატასტროფები (21%). საინტერესოა, რომ მოსახლეობის მეათედმა უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალ რისკად დეზინფორმაცია დაასახელა. ეს პასუხი უფრო მეტმა აირჩია, ვიდრე ადამიანების გატაცება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებიდან (9%) ან ტერორიზმი (6%).<sup>2</sup>



**დიაგრამა 3: ბარათზე მოცემული ჩამონათვალიდან რომელი წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალ რისკს? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი (%)**

სიღარიშის, როგორც უსაფრთხოების ყველაზე მაღალი რისკის დასახელების აღბათობას გარკვეულწილად პროგნოზირებს რესპონდენტის ასაკი, რელიგიურობა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა. 18-34 წლის ახალგაზრდები უფრო ხშირად (58%) ასახელებენ სიღარიშეს, როგორც უსაფრთხოებისთვის მთავარ რისკ ფაქტორს, ვიდრე 55 წლის და უფროსი ადამიანები (46%). საინტერესოა, რომ ადამიანები, რომლებმაც არ იციან ან არ ასახელებენ მათთვის ყველაზე სანდო პოლიტიკურ პარტიას, უფრო ხშირად (62%) მიუთითებენ სიღარიშეზე, როგორც მთავარ რისკ ფაქტორზე, ვიდრე ოპოზიციური (52%) ან არცერთი (51%) პარტიის მხარდამჭერები. ყველაზე

<sup>2</sup> ამ კითხვაზე რესპონდენტებს მაქსიმუმ სამი პასუხის დასახელება შეეძლოთ, ამიტომაც პასუხების პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს არ შეადგენს.

ნაკლებად სიღარიბეს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მთავარ რისკს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ასახელებენ (40%). სიღარიბის, როგორც მთავარი რისკ ფაქტორის დასახელების ალბათობაზე გავლენას არ ახდენს რესპონდენტის სქესი, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება, საცხოვრებელი ადგილის ტიპი, ოჯახის მატერიალური სიმდიდრის ინდექსი, განათლება, დასაქმება და კონკრეტული ტელევიზიებისადმი მხარდაჭერა.


რუსეთის სამხედრო აგრესის ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მთავარ რისკად დასახელების ალბათობას გარკვეულწილად პროგნოზირებს რესპონდენტის რელიგიური მიკუთვნებულობა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა. კერძოდ, მართლმადიდებლები (54%), სხვა ქრისტიანულ ჯგუფებზე (16%) და ისლამის მიმდევრებზე (32%) უფრო ხშირად ასახელებენ რუსეთის სამხედრო აგრესისას უსაფრთხოებისთვის მთავარ რისკ ფაქტორად. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობას, რუსეთის სამხედრო აგრესისას ქვეყნის მთავარ რისკ ფაქტორად ყველაზე ხშირად ასახელებენ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები (56%) და ისინი, ვინც არცერთ პარტიას ენდობიან (55%), შედარებით იშვიათად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები (51%) და ყველაზე იშვიათად ის ადამიანები, რომლებმაც არ იციან ან თავი შეიკავეს მათთვის სანდო პარტიის დასახელებისაგან (36%).

რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის ომის უსაფრთხოებისთვის მთავარ რისკად დასახელებას, ამ თვალსაზრისით სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლის მქონე რესპონდენტები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. მხოლოდ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო პროგნოზირებს იმას, თუ რამდენად მიიჩნევს რესპონდენტი აღნიშნულ საკითხს მთავარ რისკად. კერძოდ, ადამიანები, რომლებიც ინფორმაციას ძირითადად გარშემომყოფებისგან იღებენ (28%), მათთან შედარებით, ვინც ამ მიზნით სოციალური მედიას (23%) ან ტელევიზიას (21%) მოიხმარს, უფრო ხშირად ასახელებენ რუსეთ-უკრაინის ომს, როგორც ქვეყნისთვის მთავარ საფრთხეს.

უსაფრთხოების რისკების დასახელებასთან ერთად, მოსახლეობას ჰქითხეს, მათი აზრით, რამდენად კარგად ან ცუდად ახერხებს საქართველო ამ რისკებისგან თავის დაცვას. შეიძლება, ითქვას, რომ მოსახლეობის აზრი თითქმის შუაზე გაიყო, 49%-ის თქმით, საქართველო თავის დაცვას უფრო კარგად ან ძალიან კარგად ახერხებს; 44 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველო უფრო ცუდად ან ძალიან ცუდად იცავს თავს ამ რისკებისგან, ხოლო შვიდი პროცენტი პასუხის გაცემისგან თავს იკავებს. ყველაზე ხშირად დასახელებულ სამ რისკს რომ შევხედოთ, რესპონდენტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავარი საფრთხე სიღარიბეა, უმეტესად ფიქრობენ, რომ ქვეყანა ამ საფრთხეს უფრო ცუდად უმკლავდება, ვიდრე კარგად. სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდება საქართველოს მიერ რუსეთის სამხედრო აგრესიასთან გამკლავების კარგად ან ცუდად შეფასების მაჩვენებელი, ხოლო

რესპონდენტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავარი საფრთხე რუსეთ-უკრაინის ომია, საქართველოს მიერ ამ საფრთხესთან გამკლავების შესაძლებლობებს უფრო კარგად აფასებენ, ვიდრე ცუდად.<sup>3</sup>

მოსახლეობის მხრიდან საქართველოს უსაფრთხოების სისტემის ზოგადი მდგომარეობის შეფასებისთვის რესპონდენტებს ორ მოსაზრებას შორის არჩევანის გაკეთება სთხოვეს. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (69%) დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია და აუცილებელ რეფორმებს საჭიროებს, მათ შორის 40 პროცენტი სრულად დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლები (22%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უსაფრთხოების სისტემა საკმარისად კარგად მუშაობს და დამატებითი რეფორმები არ სჭირდება.



**დიაგრამა 4: გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (%)**

უსაფრთხოების სისტემებში ხარვეზების არსებობისა და რეფორმის საჭიროების დასახელების აღბათობას გარკვეულწილად პროგნოზირებს რესპონდენტის რელიგია და კონკრეტული ტელევიზიისა და პოლიტიკური პარტიის მიმართ ნდობა. მართლმადიდებლები, სხვა ქრისტიანულ ჯგუფებსა და ისლამის მიმდევრებზე მეტი აღბათობით უჭერენ მხარს რეფორმებს უსაფრთხოების


<sup>3</sup> უსაფრთხოების მთავარ რისკებთან ქვეყნის გამკლავების შესაძლებლობის შეფასებისთვის გამოვიყენეთ მულტინომინალური რეგრესიული ანალიზი, რომელიც პროგნოზირებს ხალხის მოსაზრებას იმაზე, თუ რამდენად ცუდად ან კარგად მართავს ქვეყანა საფრთხეებს. ინტერპრეტაციის გამარტივების მიზნით კატეგორიაში „ცუდად უმკლავდება“ გაერთიანებულია პასუხები „ძალიან ცუდად“ და „უფრო ცუდად, ვიდრე კარგად“, ხოლო კატეგორიაში „კარგად“ გაერთიანებულია პასუხები „ძალიან კარგად“ და „უფრო კარგად, ვიდრე ცუდად“.

სისტემაში. რეფორმების საჭიროებას ყველაზე მეტად ხედავენ ოპოზიციური ტელეარხების მაყურებლები და ისინი, ვინც საერთოდ არ იყენებენ ტელევიზიას, ვიდრე პროსახელისუფლებო ტელევიზიის მაყურებლები. უსაფრთხოების სისტემაში ხარვეზებს და რეფორმის საჭიროებას შედარებით ნაკლებად ხედავენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ვიდრე ისინი, ვინც არცერთ პარტიას ან ოპოზიციურ პარტიებს უქერენ მხარს. თუმცა, სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერებს შორისაც კი უმრავლესობა (63%) ეთანხმება უსაფრთხოების სისტემაში რეფორმების საჭიროებას.

### **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა აღქმა დაცულობასა და საფრთხეებზე**

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებს, დამატებით ჰკითხეს, თუ რამდენად დაცულად მიიჩნევენ მათი ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოებას საქართველოში, ყველაზე მეტად ვისგან და რა ტიპის საფრთხეს გრძნობენ.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობის (73%) თქმით, მათი ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოება საქართველოში დაცულია (უფრო დაცულია, ვიდრე დაუცველი და სრულიად დაცული). აქედან 42 პროცენტი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოება სრულიად დაცულია. ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ მეათედზე ცოტა მეტი (13%) ამბობს, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უსაფრთხოება უფრო დაუცველია, ვიდრე დაცულია ან სრულად დაუცველია.



**დიაგრამა 5:** გრძნობთ თუ არა, რომ საქართველოში თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა უსაფრთხოება დაცულია? (%) (კითხვას უპასუხეს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა)


სწორედ ამ მცირე ჯგუფმა, ვინც ეთნიკური უმცირესობების უსაფრთხოებას დაუცველად მიიჩნევს, უპასუხა მომდევნო კითხვებს საფრთხეებზე. სამი ქვეყანა, რომელიც საფრთხის წყაროდ დასახელდა: რუსეთი (31%), აზერბაიჯანი (27%) და თურქეთია (15%).<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ უმცირესობების წარმომადგენელთა 15 პროცენტი საფრთხეს საქართველოს მთავრობისგან ხედავს. საფრთხის წყაროდ მნიშვნელოვნად ნაკლებად დასახელდა სხვა ეთნიკური ჯგუფები (5%), საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები (2%) და სხვა ჯგუფები.

რაც შეეხება თავად საფრთხის ტიპს, რასაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მათი ეთნიკური ჯგუფისთვის გრძნობენ საქართველოში, ბარათზე ჩამოთვლილთაგან, მათმა ყველაზე დიდმა ნაწილმა, 23 პროცენტმა, საკუთარი ენის დაკარგვის საფრთხე დასახელდა. მეხუთედზე მეტის (21%) თქმით, მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის საფრთხეს პოლიციისა და სხვა ორგანოების მხრიდან მათი და მათი ოჯახის წევრების გადაქარბებული კონტროლი და დასჯა წარმოადგენს. ასევე დაახლოებით მეხუთედმა (19%) სოციალური დახმარების მოხსნა მიიჩნია საფრთხედ. ბარათზე ჩამოთვლილი სხვა საფრთხეები ეთნიკური უმცირესობების უფრო მცირე წილმა მიიჩნია საფრთხედ.

## ინფორმირებულობა უსაფრთხოების ორგანოების შესახებ

სახელმწიფო და პირადი უსაფრთხოება მრავალ სხვადასხვა განზომილებას: სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, გარემოსდაცვით და ა.შ. უკავშირდება. უსაფრთხოების საკითხებზე მოსახლეობის მოსაზრებების შეჯამებამდე მნიშვნელოვანია, გავიგოთ, მათი აღქმით, უსაფრთხოება რომელ განზომილებასთან უფრო ახლოსაა. კითხვაზე, თუ რას ნიშნავს მათთვის უსაფრთხოება, მოსახლეობის შედარებით მსხვილმა ჯგუფებმა შემდეგი მიმართულებები გამოყვეს: სამხედრო უსაფრთხოება (29%), ადამიანის ფიზიკური დაცულობა (23%), პოლიტიკური სტაბილურობა (16%) და ეკონომიკური უსაფრთხოება (14%). მოსახლეობის მხოლოდ ხუთმა პროცენტმა დასახელდა დეზინფორმაციისგან დაცულობა და ოთხმა პროცენტმა - გარემოსდაცვითი უსაფრთხოება.

<sup>4</sup> ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში 100 პროცენტდად აღებულია ეთნიკური უმცირესობების ის წილი (13%), რომელმაც თქვა, რომ საქართველოში მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა უსაფრთხოება დაცული არ არის. ეს გასათვალისწინებელია მონაცემების ინტერპრეტაციის დროს.




**დიაგრამა 6:** სხვადასხვა მოსამრება არსებობს იმაზე, თუ რას ნიშნავს უსაფრთხოება. ახლა ჩამოვითვლით რამდენიმე ასეთ დებულებას და მითხარით, ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მეტად რომელი შეესაბამება თქვენს შეხედულებას. (%)

მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების ეს განსაზღვრება გამოკითხვაში მათ სხვა პასუხებზეც აისახება. პირველ რიგში კი იმაზე, თუ ვის მიიჩნევს ხალხი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელს უწყებად. მოსახლეობის ნახევარი ამბობს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტრო/პოლიცია, 45 პროცენტის აზრით, თავდაცვის სამინისტრო/ჯარი, ხოლო 37 პროცენტის თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. მოსახლეობის შედარებით ნაკლებმა წილმა დაასახელა პრემიერმინისტრი (30%), პრეზიდენტი (24%) და ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (16%).

გამოკითხვა მოსახლეობის ინფორმირებულობას - რამდენად კარგად იცნობენ მათ საქმიანობას, საიდან იღებენ ინფორმაციას, რა არის ამ უწყების ძირითადი ფუნქცია და ვინ არის ხელმძღვანელი პირი - სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელს ოთხ ძირითად უწყებაზე იკვლევს: შინაგან საქმეთა სამინისტროზე, თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოზე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი თვითშეფასებით, მოსახლეობის ნახევარი ან ნახევარზე ოდნავ მეტი ცუდად ან ძალიან ცუდად იცნობს ამ ოთხი უწყების საქმიანობას. მათგან ხალხისთვის შედარებით კარგად ნაცნობი შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების საქმიანობაა. ორივე სამინისტროს შემთხვევაში მოსახლეობის 39 პროცენტი ამბობს, რომ კარგად ან ძალიან კარგად იცნობს მათ საქმიანობას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე იმავეს მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლები, ხოლო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოზე - მოსახლეობის მეხუთედზე ნაკლები ამბობს. მოსახლეობის ცხრა პროცენტს ამ უკანასკნელის შესახებ საერთოდ არ სმენია.



**დიაგრამა 7: რამდენად კარგად იცნობთ შემდეგი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას? (%)**

ოთხივე უწყების შემთხვევაში მოსახლეობის უმრავლესობისთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზია, მეორე ყველაზე ხშირად დასახელებული წყარო კი - სოციალური ქსელები, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობის საშუალოდ 17% ამ უწყებების შესახებ ინფორმაციას ეცნობა. თუმცა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შემთხვევაში მოსახლეობის 28 პროცენტმა აღნიშნა, რომ ამ უწყების შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ იღებს, ხოლო ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში მეხუთედმა (20%) თქვა იგივე.

რაც შეეხება ამ ოთხი უწყების ფუნქციებს, ამ კითხვებშიც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა პირდაპირ აღნიშნა, რომ არ იცის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა (19%) და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს (40%) ფუნქციების შესახებ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში სამი ძირითადი ფუნქცია, რაც მოსახლეობის მეხუთედზე მეტმა დაასახელა: მოქალაქეების დაცვა (26%), საშინაო დაზვერვა (26%) და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაა (23%). ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შემთხვევაში დაახლოებით მეხუთედმა დაასახელა უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა (22%) და მოქალაქეების დაცვა (19%) - ეს იყო ორი ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში ინფორმირებულობა შედარებით მაღალია. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა ან 40 პროცენტები მეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ფუნქციების დასახელება შეძლო: მოქალაქეების დაცვა (57%), დანაშაულის გამოძიება (52%), დანაშაულის პრევენცია (42%). თუმცა, საკმაოდ დიდმა ნაწილმა (41%) დამნაშავეების დასჯაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებს მიათვალა. ხოლო ანალიტიკური საქმიანობა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, მხოლოდ მოსახლეობის სამმა პროცენტმა დაასახელა.


თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში მოსახლეობამ ორი ძირითადი ფუნქცია გამოყო: ქვეყანაზე თავდასხმის მოგერიება/ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, რაც დიდმა უმრავლესობამ (79%) დაასახელა და მოქალაქეების დაცვა, რაც მოსახლეობის მესამედზე მეტმა (34%) თავდაცვის სამინისტროს ფუნქციად მიიჩნია.

მსგავსი სურათი გამოიკვეთა ამ ოთხი უწყების ხელმძღვანელი პირების შესახებ კითხვებშიც. ყველაზე უკეთ ხალხმა შინაგან საქმეთა მინისტრის ვინაობა იცოდა, მოსახლეობის 40 პროცენტმა სწორად დაასახელა მისი სახელი და გვარი, ათმა პროცენტმა კითხვას არასწორი პასუხი გასცა, ხოლო ნახევარმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცის. დანარჩენი სამი უწყების და ამჟერად თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაშიც, მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (73-86%) პირდაპირ თქვა, რომ არ იცის, ვინ არის ხელმძღვანელი პირი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პირის შემთხვევაში, 15 პროცენტმა სწორად დაასახელა ეს პირი, ხოლო რვა პროცენტმა - არასწორად; თავდაცვის მინისტრის შემთხვევაში, 18 პროცენტმა სწორად, ხოლო ცხრა პროცენტმა - არასწორად; და ეროვნული უსაფრთხოების მდივნის ვინაობა შვიდმა პროცენტმა იცოდა სწორად და ასევე შვიდმა პროცენტმა არასწორად.

## **დამოკიდებულება უსაფრთხოების სისტემის ძირითადი შემადგენელი ინსტიტუტების მიმართ**


საქართველოში ბოლო წლებში საინფორმაციო წყაროებში გაუღერებული ფარული სატელეფონო ჩანაწერებისა თუ სხვა ინფორმაციის გაუღერების ფონზე საინტერესოა, ყოველდღიურ ცხოვრებაში რამდენად აღიქვამს მოსახლეობა, რომ უსაფრთხოების სამსახურების დაკვირვების ქვეშ იმყოფება: რამდენად მიიჩნევენ, რომ მათ სატელეფონო საუბრებს უსმენენ, მათ სოციალურ ქსელებს აკონტროლებენ, ინფორმატორები ჰყავთ მათ სამეზობლოში ან სამსახურში, ან სულაც პირდაპირ უთვალთვალებენ. გარკვეულწილად, ესეც უსაფრთხოების სისტემის ორგანოების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ უსაფრთხოების სამსახურები ამას არასდროს აკეთებენ. ამ ქმედებებიდან ყველაზე მაღალი ალბათობა ხალხის თვალში უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან სატელეფონო საუბრების მოსმენას აქვს: მოსახლეობის მესამედზე მეტის (36%) აზრით, მათ სატელეფონო საუბრებს ზოგჯერ ან ყოველთვის უსმენენ. მოსახლეობის მეხუთედი ფიქრობს, რომ მათ სოციალურ ქსელებს აკონტროლებენ ან სულაც ინფორმატორები ჰყავთ სამეზობლოში ან დასაქმების ადგილას. ყველაზე ნაკლებად ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან თვალთვალს გრძნობს, ამას მოსახლეობის მხოლოდ ექვსი პროცენტი ასახელებს. საგულისხმოა, რომ სოციალური ქსელების კონტროლისა და ინფორმატორების შემთხვევაში, შედარებით მაღალია „არ ვიცი“ პასუხის წილი - მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი ამ კითხვებზე პასუხისგან თავს იკავებს.



**დიაგრამა 8:** რაძენად გრძნობთ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას, რომ უსაფრთხოების სამსახურები... თქვენ ამას გრძნობთ ყოველთვის, ზოგჯერ, თუ არასდროს? (%)


ასევე, საინტერესოა მოსახლეობის პასუხი იმაზე, თუ რას მოიმოქმედებენ, თუკი უსაფრთხოების სამსახურები მათ უფლებებს დაარღვევენ. ამ შემთხვევაში რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, ბარათიდან აერჩიათ ერთი ვარიანტი. ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი, რაც მოსახლეობის დაახლოებით მესამედმა (32%) აირჩია, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის მიმართვაა. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის 15 პროცენტი ასეთ შემთხვევაში ამბობს, რომ მოითმენს და ხმას არ ამოიღებს, რადგან უბრალო ადამიანებისთვის ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. მოსახლეობის მეათედზე მეტი (13%) ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ან სახალხო დამცველს (11%) მიმართავს. დანარჩენი პასუხები მოსახლეობის ხუთ პროცენტზე ნაკლებმა დაასახელა. მოსახლეობის მხოლოდ რვა პროცენტმა თქვა, რომ ასეთი რამ არ მოხდება.



**დიაგრამა 9: რას მოიმოქმედებთ, თუკი უსაფრთხოების სამსახურები თქვენს უფლებებს დაარღვევენ? (%)**

უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულების გარკვევა მათდამი ზოგადი ნდობის შეკითხვით დაიწყო. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, რომელთა მიმართ დამოკიდებულებაზე უფრო დეტალური კითხვებიც დაისვა, რესპონდენტებმა ნდობა რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის: პრეზიდენტის, პარლამენტისა და პრემიერმინისტრის მიმართაც შეაფასეს.

საინტერესოა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელ სამ სახელმწიფო ინსტიტუტს: თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მოსახლეობის უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ ენდობა. ყველაზე მაღალი ნდობა თავდაცვის სამინისტროს მიმართ გამოვლინდა (მოსახლეობის 69 პროცენტი ენდობა მას, აქედან 27 პროცენტი კი სრულად ენდობა). ნაკითხი ექვსი სახელმწიფო ინსტიტუტიდან ყველაზე ნაკლები ნდობა მოსახლეობას საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიმართ აქვს, თუმცა, აქაც მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ამ ინსტიტუტებს სრულად ან ნაწილობრივ მაინც ენდობა.



**დოკუმენტი 10: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ...? (%)**

გამოკითხვა მოსახლეობის დამოკიდებულებას უფრო დეტალურად სამი სახელმწიფო უწყების: შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ იკვლევს.


## **შინაგან საქმეთა სამინისტრო**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ დამოკიდებულებების გარკვევამდე, გამოკითხვამ მოსახლეობას მისი მუშაობის ეფექტურობის შეფასება სთხოვა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი დადებით შეფასებას აკეთებს. ცამეტი პროცენტი ამბობს, რომ ეს უწყება ძალიან ეფექტურად მუშაობს, ხოლო 38 პროცენტი მის მუშაობას უფრო ეფექტურად მიიჩნევს, ვიდრე არაეფექტურად. შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას უფრო არაეფექტურად ან ძალიან არაეფექტურად მოსახლეობის მესამედზე ნაკლები (31%) აფასებს.

მოსახლეობის მესამედზე ნაკლები (31%) მიიჩნევს, რომ ბოლო შვიდ წელიწადში შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა გაუმჯობესდა. მეოთხედზე მეტი (26%) ამბობს, რომ მისი მუშაობა იგივე დარჩა და მოსახლეობის მეხუთედზე მეტი (23%) მის მუშაობაში გაუარესებას ხედავს. ასევე, მოსახლეობის მეხუთედს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

მოსახლეობას ჰკითხეს, თუ რამდენად ახასიათებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღირებულებები: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, მიუკერძოებლობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა (47-51%) ყველა ამ ჩამოთვლილი ღირებულების შემთხვევაში აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იგი ნაწილობრივ ახასიათებს. ორი მახასიათებელი, რაზეც მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა (24%) თქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს სრულად ახასიათებს, პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმია.

რაც შეეხება პოლიტიკურ/პარტიულ გავლენებს, მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები (47%) ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან თავისუფალი არ არის. მათ შორის დაახლოებით მეხუთედი სკალის უკიდურეს ქულას ირჩევს, 21 პროცენტი მას საერთოდ არ მიიჩნევს პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან თავისუფლად. მოსახლეობის დაახლოებით მესამედი (32%) საპირისპირო აზრისაა და ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო თავისუფალი ან სრულიად თავისუფალია პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მეხუთედზე მეტი (21%) ამ კითხვაზე „არ ვიც“ პასუხს ამჟობინებს.



**დიაგრამა 11:** თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან? (%)

## თავდაცვის სამინისტრო


თავდაცვის სამინისტროს მუშაობას მოსახლეობის ნახევარზე მეტი (54%) ეფექტურად აფასებს (აქედან 14% ძალიან ეფექტურად, ხოლო 40% უფრო ეფექტურად, ვიდრე არაეფექტურად). მის მუშაობას უარყოფითად მოსახლეობის მეოთხედზე მეტი (26%) აფასებს, მეხუთედს კი (22%) შეფასების გაკეთება არ შეუძლია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსად, თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაშიც, მოსახლეობის დაახლოებით მესამედის (34%) აზრით, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მისი მუშაობა გაუმჯობესდა. 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს მუშაობა იგივე დარჩა, ხოლო დაახლოებით მეხუთედი (19%) გაუარესებას ამჩნევს. მუშაობის ეფექტურობის შეფასების მსგავსად, მოსახლეობის 21 პროცენტი ვერ ამბობს, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს მუშაობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა.

ღირებულებების კითხვებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსად, თავდაცვის სამინისტროზეც მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებმა, თუმცა, მნიშვნელოვანმა წილმა (41-46%) თქვა, რომ მას

ნაწილობრივ ახასიათებს პატრიოტიზმიც, პროფესიონალიზმიც, ადამიანის უფლებების პატივისცემაც, მიუკერძოებლობაც, ანგარიშვალდებულებაც და გამჭვირვალობაც. რაც შეეხება ღირებულებებს, რაც თავდაცვის სამინისტროს მოსახლეობის შედარებით მეტი წილის მიხედვით, სრულად ახასიათებს, ასეთებად დასახელდა: პატრიოტიზმი (35%), პროფესიონალიზმი (31%) და ადამიანის უფლებების პატივისცემა (29%). ასევე, საინტერესოა, რომ მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის შემთხვევაში მოსახლეობის მეხუთედზე მეტმა „არ ვიცი“ პასუხი აირჩია.

პოლიტიკური/პარტიული გავლენების საკითხზე თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში მოსახლეობის მესამედზე მეტი (36%) მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტრო სრულად ან უფრო თავისუფალია პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან, ხოლო 40 პროცენტი ამბობს, რომ თავდაცვის სამინისტრო უფრო არ არის ან საერთოდ არ არის თავისუფალი პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან. მოსახლეობის მეხუთედზე მეტს (22%) ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.




**დიაგრამა 12: თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან? (%)**

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ისეთი სახელმწიფო უწყება აღმოჩნდა, რომლის შესახებ კითხვებშიც მოსახლეობის საკმაოდ დიდ წილს პასუხი არ ჰქონდა, ან „არ ვიცი“-ს თქმით, თავს არიდებდა პასუხს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში რესპონდენტებს უბრალოდ მისი მუშაობის ეფექტურობის შეფასება კი არ სთხოვეს, არამედ იმის თქმა, მათი აზრით, რამდენად ეფექტურად იცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანების პირადი უსაფრთხოების ინტერესებს. ეროვნული ინტერესების შემთხვევაში, მოსახლეობის 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უფრო ეფექტურად ან ძალიან ეფექტურად იცავს მას და მოსახლეობის 29 პროცენტია საწინააღმდეგო აზრზე. ხოლო ადამიანების პირადი უსაფრთხოების შემთხვევაში სურათი მკვეთრად არ განსხვავდება: 42 პროცენტი დადებითი შეფასებას აკეთებს, 35 პროცენტი კი - უარყოფითს. ორივე კითხვაზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილი (28 და 24 პროცენტი) „არ ვიცი“ პასუხს ასახელებს.



დიაგრამა 13: რამდენად ეფექტურად იცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)...? (%)

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში მოსახლეობის მეოთხედზე მეტი (26%) ამბობს, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მისი მუშაობა გაუმჯობესდა და მეხუთედზე მცირედით მეტი, რომ მისი მუშაობა იგივე დარჩა (22%) ან გაუარესდა (21%). კვლავაც დიდია „არ ვიცი“ პასუხის წილი (31%).

დემოკრატიული ღირებულებების მიხედვით შეფასების კუთხით, სურათი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანწილად არ განსხვავდება. მოსახლეობის 40-47% ყველა მახასიათებლის შემთხვევაში ამბობს, რომ ეს ამ უწყებას ნაწილობრივ ახასიათებს. მოსახლეობის მეხუთედზე მეტი პროფესიონალიზმისა (23%) და პატრიოტიზმის (21%) შემთხვევაში ამბობს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ეს სრულად ახასიათებს. ასევე, მოსახლეობის მეოთხედთან ახლოსაა (24%) მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ამ უწყებას გამჭვირვალობა საერთოდ არ ახასიათებს, და შედარებით მაღალია (19-27%) „არ ვიცი“ პასუხების წილი ყველა მახასიათებლის შემთხვევაში.


მოსახლეობის დიდ ნაწილს (46%) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან თავისუფალი არ ჰგონია. მოსახლეობის 27 პროცენტმა აღნიშნა, რომ ეს უწყება პოლიტიკური გავლენებისგან გარკვეულწილად ან სრულად თავისუფალია. მოსახლეობის მეოთხედზე მეტს (27%) ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

კონკრეტული ტელევიზითისა და პოლიტიკური პარტიის მიმართ ნდობა, ასევე რესპონდენტის რელიგია გარკვეულწილად პროგნოზირებს იმას, თუ პოლიტიკური გავლენებისაგან რამდენად დამოუკიდებლად შეფასდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა. კერძოდ, ოპოზიციური ტელეარხების მაყურებლები და ისინი, ვინც საერთოდ არ ადევნებს თვალს სატელევიზიო არხებს, უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საერთოდ ან უფრო მეტად არ არის თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისაგან. ამ უწყებებს პოლიტიკური გავლენებისაგან სრულიად ან უფრო მეტად თავისუფლად მიიჩნევენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ვიდრე ისინი, ვინც მხარს უჭერს ოპოზიციას ან არცერთი პარტიის მხარდამჭერია. რაც შეეხება რელიგიას, ისლამის წარმომადგენლები, სხვა რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტად თვლიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პოლიტიკური გავლენებისაგან უფრო მეტად ან სრულიად თავისუფალია.

## შესეღულებები უსაფრთხოების საქონლისა და მარგინალურ ჩბუფებზე

გამოკითხვა უსაფრთხოების თემას მარგინალური ჯგუფების კონტექსტშიც იკვლევს და ცდილობს, მოსახლეობის აზრი გაიღოს ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობაზე, მათ მიმართ სახელმწიფო უსაფრთხოების უწყებების მოპყრობაზე, ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოვლენილ უსამართლობაზე და ზოგადად სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე.

საინტერესოა, რომ მოსახლეობის 39-45%-ის აზრით, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები სათანადოდ არიან წარმოდგენილნი საქართველოს სახელმწიფო და საკარო სივრცეში: მედიაში (45%), ადგილობრივ თვითმმართველობებში (43%), პოლიტიკურ პარტიებში (41%), პარლამენტსა (40%) და აღმასრულებელ ხელისუფლებაში (39%). მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ან ოდნავ მეტი (22-26%) მიიჩნევს, რომ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები იმაზე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ამ უწყებებში, ვიდრე საჭიროა და მოსახლეობის დაახლოებით მსგავსმა წილმა (25-29%) ამ კითხვაზე პასუხი არ იცის.



**დიაგრამა 14:** თქვენი აზრით, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები ... იმაზე მეტად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე საჭიროა, სათანადოდ არიან წარმოდგენილნი, თუ იმაზე ნაკლებად, ვიდრე საჭიროა? (%)


საგულისხმოა, რომ, მოსახლეობის დაახლოებით მეათედის თქმით, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები საქართველოს პარლამენტში იმაზე მეტად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე საქიროა. შედარებისთვის, ამჟამად პარლამენტის 144 წევრიდან დაახლოებით შვიდი წევრი წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას მაშინ, როცა ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობის წილი დაახლოებით 13 პროცენტია.<sup>5</sup>

მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მედიის შემთხვევაში განსხვავდება ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობების<sup>6</sup> შეხედულებები იმის შესახებ, თუ რამდენად ნაკლებად, სათანადოდ ან მეტად არიან წარმოდგენილნი რელიგიური/ეთნიკური უმცირესობები ხელისუფლების ორგანოებსა და მედიაში. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ეთნიკურად ქართველებთან შედარებით, უფრო იშვიათად მიიჩნევენ, რომ რელიგიური/ეთნიკური უმცირესობები სათანადოდ ან ზედმეტად არიან წარმოდგენილნი აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მედიაში. პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ეთნიკურად ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შეხედულებებს შორის არ გამოვლინდა.

ზოგადი დამოკიდებულება ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ დადებითია. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (83%) ამბობს, რომ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები ისტორიულად საქართველოში ცხოვრობენ და უცხოები/სტუმრები არ არიან; მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი წილი (90%) მიიჩნევს, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და სახელმწიფო სრულად უნდა იცავდეს მათ უფლებებს. 70%-ის აზრით, საქართველოს მთავრობამ მეტი ძალისხმევა უნდა გასწიოს ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების ჩასართავად სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ისინი სრულად ინტეგრირებულნი იყვნენ საზოგადოებაში. ამ მოსაზრებას მოსახლეობის 19% არ ეთანხმება. დიდი უმრავლესობა (76%) კი არ ეთანხმება იმას, რომ მთავრობამ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები იზოლაციაში უნდა მოაქციოს, რომ უკეთესად აკონტროლოს ისინი. ამ უკანასკნელს მოსახლეობის 15 პროცენტი ეთანხმება.

<sup>5</sup> წყარო: საქართველოს პარლამენტის გვერდზე მითითებული სია და ზოგადი ძიება სხვადასხვა ონლაინ წყაროში პარლამენტის წევრების სახელებისა და გვარების მიხედვით. აღნერის მონაცემები: 2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 86,8 პროცენტის ქართველები შეადგენენ. ქართველებს მოპყვებიან აზერბაიჯანელები (233 ათასი, 6.3%), სომხები (168.1 ათასი, 4.5%), რუსები (26.5 ათასი, 0.7%), ოსები (14.4 ათასი, 0.4%).

<sup>6</sup> ჯუფებს შორის განსხვავების გამოვლენისთვის გამოყენებულ იქნა ორდინალური ლოგისტიკური რეგრესია, რომელიც პროგნოზირებს რესპონდენტის შეხედულებას ხელისუფლების ორგანოებსა და მედიაში უმცირესობების სათანადო, მეტი ან ნაკლები რეპრეზენტაციის შესახებ. პრედიქტორ ცვლადს წარმოადგენს რესპონდენტის ეთნიკური კუთვნილება. წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკურად სანდო შედეგები.



**დიაგრამა 15: ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე მოსაზრებას. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მათგანს? (%)**

რაც შეეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ მოპყრობას, მოსახლეობის უმრავლესობა ორივე უნივერსიტეტის შემთხვევაში მიიჩნევს, რომ ისინი ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობებს ძირითადად ან სრულად თანასწორად ეპყრობიან (74% შინაგან საქმეთა სამინისტროს და 69% სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში). მოსახლეობის დაახლოებით მეათედი ამბობს, რომ მათ ძირითადად ან სრულიად უთანასწოროდ ეპყრობიან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემთხვევაში, აქაც მაღალია „არ ვიცი“ პასუხის წილი (22%).

რაც შეეხება 2012 წლის შემდეგ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილ უსამართლობას, იმის მიუხედავად, რომ პასუხის ვარიანტები ბარათზე იყო შეთავაზებული, რესპონდენტებს ძალიან გაუჭირდათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მოსახლეობის ნახევარმა (50%) ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა, 16 პროცენტმა თქვა, რომ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ უსამართლობის მაგალითები ამ პერიოდში არ ყოფილა. მოსახლეობის მეხუთედზე მეტმა (22%) ასეთი უსამართლობის მაგალითად დაასახელა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე ქართველი მუსლიმი თემისთვის ადგილობრივი ხელისუფლების უარი. გარდა ამისა, მოსახლეობის დაახლოებით მეათედმა გაიხსენა სოფელ ჭელაში სახელმწიფოს მიერ მინარეთის მოქრის ფაქტი,

რასაც თან ახლდა ადგილობრივი მუსლიმების ცემა (10%), და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის ნოვრუტ ბაირამის უქმედ გამოცხადებაზე სახელმწიფოს უარი (9%). ბარათზე კიდევ ორი შემთხვევა იყო წარმოდგენილი: გვარის დაბრუნების კამპანიაზე უარის თქმა და პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რიცხვის მკვეთრი შემცირება, რაც ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი უსამართლობის მაგალითად მოსახლეობის ოთხმა და სამმა პროცენტმა მიიჩნია. ბარათს მიღმა სულ რამდენიმე ადამიანმა დაასახელა სხვა მოვლენა, როგორც უსამართლობის მაგალითი. ესენი იყო: მთავარი არხის აზერბაიჯანელი უურნალისტის ცემა, კონფლიქტი სვანებსა და აზერბაიჯანელებს შორის მარნეულში, მარალიკაშვილის ვაჟის მკვლელობა და დავით გარევის წარმევა.

## **წარმოდგენები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონთან გამყოფი ხაზის მაცხოვრებლების მდგრადირებაზე**


სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები იმ პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული კვლევა ჩატარდა. შესაბამისად, გამოკითხვა დაინტერესდა იმით, თუ რამდენად ინფორმირებულია ფართო საზოგადოება ამ ჯგუფის მდგომარეობით, საიდან იღებს ინფორმაციას იქ არსებულ ვითარებაზე და რამდენად საკმარისია მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში მიღებული უსაფრთხოების ზომები.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (58%) ცუდად ან ძალიან ცუდად იცნობს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის სოფლებში არსებულ ვითარებას, მათ შორის მეხუთედზე მეტია (22%) ის, ვინც ამბობს, რომ ვითარებას ძალიან ცუდად იცნობს. მხოლოდ მოსახლეობის დახლოებით მესამედს (32%) მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის სოფლებში ვითარებას კარგად ან ძალიან კარგად იცნობს.

ინფორმაციის ძირითადი წყარო მოსახლეობის უმრავლესობისთვის (64%) ამ შემთხვევაშიც ტელევიზია. გამყოფი ხაზის სოფლებში არსებულ ვითარებაზე მოსახლეობის 16 პროცენტი ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან იღებს. ინფორმაციის კიდევ ერთი წყარო, რაც მოსახლეობის ხუთ პროცენტზე მეტმა (7%) დაასახელა, ოჯახის წევრები/მეგობრები/თანამშრომლებია.

მიუხედავად არც თუ ისე უხვი ინფორმაციისა, მოსახლეობის უმრავლესობა (66%) მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში მიღებული უსაფრთხოების ზომები საკმარისი არ არის, მათ შორის 30 პროცენტი ამ ზომებს საერთოდ არ მიიჩნევს

საკმარისად. მხოლოდ მოსახლეობის მეხუთედია (20%), რომელიც ამბობს, რომ მთავრობის მიერ ამ სოფლებში მიღებული ზომები საკმარისად შეიძლება, ჩაითვალოს.




**დიაგრამა 16:** თქვენი აზრით, რამდენად საკმარისია ან არ არის საკმარისი საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში მიღებული უსაფრთხოების მომები? (%)

რესპონდენტის ასაკი, დასაქმების სტატუსი, საცხოვრებლის ტიპი, კონკრეტული ტელევიზიებისა და პარტიების მიმართ ნდობა გარკვეულწილად პროგნოზირებს, თუ რამდენად საკმარისად მიიჩნევს ის საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში მიღებულ უსაფრთხოების ზომებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ დემოგრაფიულ ჯგუფში რესპონდენტების უმრავლესობა არასაკმარისად ან უფრო მეტად არასაკმარისად აფასებს მთავრობის მიერ მიღებულ უსაფრთხოების ზომებს, ახალგაზრდებში, უფროსი ასაკის ადამიანებთან შედარებით, უფრო ნაკლებია მათი წილი, ვინც მთავრობის საქმიანობას სრულიად საკმარისად ან უფრო მეტად საკმარისად მიიჩნევს. ასევე, დედაქალაქში, დასახლების სხვა ტიპის მოსახლეობასთან შედარებით, ყველაზე ნაკლებია იმ ადამიანების წილი, ვინც მთავრობის მიერ მიღებულ უსაფრთხოების ზომებს საკმარისად ან უფრო საკმარისად შეაფასებდა.

აღსანიშნავია, რომ საჭარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებში, კერძო სექტორში დასაქმებულ პირებთან და უმუშევრებთან შედარებით, მცირედით მაღალია მთავრობის მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომების მიმართ კმაყოფილების მაჩვენებელი.

მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში მიღებულ უსაფრთხოების ზომებს საკმარისად ან სრულიად საკმარისად ყველაზე ხშირად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და ის ადამიანები მიიჩნევენ, რომლებიც პროსახელისუფლებო ტელეარხებს უყურებენ.

რესპონდენტებს ასევე ჰქითხეს აზრი იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაში სამი ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი შეიძლება, გამოვყოთ, რაც მოსახლეობის მეათედზე მეტმა მაინც დაასახელა. ესენია: უფრო მკაცრად გააკონტროლონ გამყოფი ხაზის გარშემო ადმინისტრაციული საზღვარი (38%), გააძლიერონ პოლიციის მუშაობა ამ რეგიონებში მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად (21%) და აქ მცხოვრებ ოჯახებს დამატებითი სოციალური დახმარება/შეღავათები მისცენ (16%).



**დიაგრამა 17:** რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად? (%)

ადმინისტრაციული საზღვრისპირა რეგიონების შესახებ ინფორმირებულობის სხვადასხვა ხარისხის მქონე რესპონდენტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ნაკლებად ინფორმირებული ადამიანები, მეტად ინფორმირებულ რესპონდენტებთან შედარებით, უფრო მეტად უჭერენ მხარს პოლიციის მუშაობის გაძლიერებას და გამყოფი ხაზის გარშემო ადმინისტრაციული საზღვრის მკაცრ კონტროლს, ვიდრე რეგიონში მცხოვრები ოჯახებისათვის ომით დაბარალებულის სტატუსის მინიჭებას.<sup>7</sup>

<sup>7</sup> განსხვავებების გამოვლენისთვის გამოყენებულია მულტინომინალური რეგრესიული მოდელი, რომელიც პროგნოზირებს რესპონდენტის მოსაზრებას მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში განსახორციელებელი მოქმედებების შესახებ. პრედიქტო

## დასკვნა

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობა ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობას უსაფრთხოების კუთხით საკმაოდ დადებითად აფასებს: უმრავლესობა თავს დაცულად გრძნობს და მიიჩნევს, რომ საქართველო კარგად უმკლავდება ქვეყნის წინაშე არსებულ უსაფრთხოების ძირითად რისკებს: სიღარიბეს, რუსეთიდან მომდინარე სამხედრო აგრესის შესაძლებლობასა და რუსეთ-უკრაინის ომს. მოსახლეობის 38% ამბობს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის და ამავე წილს 2012 წელთან შედარებით დაცულობის მეტი შეგრძნება აქვს.

თუმცა, მიუხედავად ზოგადი დადებითი შეფასებებისა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (69%) თანხმდება იმაზე, რომ საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია და აუცილებელ რეფორმებს საჭიროებს.

ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა მათი ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოებას საქართველოში დაცულად მიიჩნევს. მხოლოდ 13 პროცენტია, რომელიც ნაკლებად დაცულად თვლის თავს და საფრთხის მთავარ წყაროდ რუსეთსა და აზერბაიჯანს ასახელებს. საკუთრივ საფრთხე კი, მათი აღქმით, საკუთარი ენის დაკარგვა, პოლიციის და სხვა ორგანოების მხრიდან გადაჭარბებული კონტროლი და სოციალური დახმარების მოხსნაა.

მოსახლეობა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უწყებებად შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიიჩნევს. თუმცა, მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი მათ საქმიანობას ცუდად იცნობს. ინფორმირებულობის აღქმა განსაკუთრებით დაბალია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიმართ.

მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს განცდა, რომ უსაფრთხოების სამსახურები ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ რაიმე ფორმით აკონტროლებენ. შედარებით მეტი წილი ამბობს, რომ მათ სატელეფონო საუბრებს ყოველთვის ან ზოგჯერ უსმენენ, მათ სოციალურ ქსელებს აკონტროლებენ, ან მათ გარშემო ჩანერგილი ინფორმატორები ჰყავთ. უსაფრთხოების სამსახურების მიერ უფლებების დარღვევების შემთხვევაში, მოსახლეობის მესამედი ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს მიმართავს. საგულისხმოა, რომ მეორე ყველაზე ხშირი პასუხი ამ კითხვაზე, რასაც მოსახლეობის

ცვლადს წარმოადგენს რესპონდენტის ინფორმირებულობის დონე ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონებში არსებული ვითარების შესახებ. შედეგების ინტერპრეტაციის გამარტივების მიზნით ინფორმირებულობის სარისხი გარდაიქმნა ბინარულ ცვლადად და კატეგორიაში „ნაკლებად ინფორმირებული“ გაერთიანდა ის ჯგუფი, რომელმაც თქვა, რომ „ძალიან ცუდად“ და „ცუდად“ იცნობს ვითარებას ადმინისტრაციულ სამსახურისპირა რეგიონში, ხოლო კატეგორიაში „მეტად ინფორმირებული“ გაერთიანდა პასუხის ვარიანტები „ძალიან კარგად“ და „კარგად“. ტექსტში გამოტანილია ინფორმაცია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირების შესახებ.

მეათედზე მეტი ამბობს, არის: მოვითმენ და ხმას არ ამოვიღებ, რადგან უბრალო ადამიანებისთვის ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია.

კონკრეტული უწყებების მიმართ მოსახლეობის დიდ ნაწილს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება აქვს. უმრავლესობა ნაწილობრივ ან სრულად ენდობა თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. მიიჩნევს, რომ ამ უწყებებს პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა ახასიათებს და მათ მუშაობას ეფექტურად აფასებს. თუმცა, მაინც მიიჩნევს, რომ სამივე ეს უწყება პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან თავისუფალი არ არის.

რაც შეეხება უსაფრთხოების სექტორსა და მარგინალურ ჯგუფებს, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობებს თანასწორად ეპყრობა. თავად ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებაც დადებითია. დიდი უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები საქართველოში უცხოები არ არიან და სახელმწიფო სრულად უნდა იცავდეს მათ უფლებებს და მეტი ძალისხმევა გასწიოს მათ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩასართავად.

მოსახლეობის ინფორმირებულობა საკმაოდ დაბალია სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ვითარებაზე. მიუხედავად ამისა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები საკმარისი არ არის და მთავრობამ უნდა გაამკაცროს კონტროლი გამყოფი ხაზის გარშემო ადმინისტრაციულ საზღვარზე და გააძლიეროს პოლიციის მუშაობა ამ რეგიონებში მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად.

საერთო ჯამში, უსაფრთხოების საკითხებზე, სახელმწიფო უწყებებსა და უმცირესობებზე თუ მარგინალურ ჯგუფებზე მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმირებული არ არის. მათი საინფორმაციო წყარო როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულ საკითხებზე: სახელმწიფო უწყებებზე და ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ვითარებაზე უმეტესად ტელევიზია და სოციალური ქსელებია.

## დანართი: სიხშირის ცხრილები

ამ დანართში წარმოდგენილია გამოკითხვის ყველა კითხვის სიხშირის ცხრილი, რესპონდენტების პასუხების პროცენტული განაწილება. მონაცემები შენონილია მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. ცხრილების თანმიმდევრობა კითხვარის თანმიმდევრობას ემთხვევა. დანართში წარმოდგენილი არ არის დემოგრაფიული მონაცემები.

## II ბლოკი: ზოგადი კითხვები

**კ7. თქვენი აზრით, საქართველო დღეს სწორი მიმართულებით  
მიდის, თუ მიიჩნევთ, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით  
მიდის? (%)**

საქართველო სწორი მიმართულებით მიდის	38
[არ წაუკითხოთ] საქართველო არ იცვლება	20
საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის	33
(არ ვიცი)	9
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ8. ზოგადად, რამდენად დაცულად გრძნობთ თავს საქართველოში?  
(%)**

სრულიად დაცველად	9
უფრო დაცველად, ვიდრე დაცულად	22
უფრო დაცულად, ვიდრე დაცველად	41
სრულიად დაცულად	28
(არ ვიცი)	1
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ9. 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით, ახლა... (%)**

უფრო მეტად დაცულად გრძნობთ თავს,	38
უფრო ნაკლებად დაცულად გრძნობთ თავს,	26
თუ თქვენი დაცულობის შეგრძნება არ შეცვლილა?	32
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ10. ეთანხმებით თუ არა იმას, რომ რაიმე საფრთხის შემთხვევაში დაცული ხართ შემდეგი მიზეზების გამო (%)**

	დიახ	არა	(არ ვიცი)	(უარი პასუხშე)
დაცული ვარ, რადგან ვიცი, უსაფრთხოების სამსახურებს როგორ მივმართო და არ გამიჭირდება	67	27	5	0
დაცული ვარ, რადგან ჩემს გარშემო მცხოვრებმა ადამიანებმა კარგად იციან, კრიზისულ სიტუაციებში როგორ მოიქცნენ	49	44	7	0
დაცული ვარ იმიტომ, რომ ჩემი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს არსებობს პოლიციის განყოფილება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მივმართავ	45	52	2	0
დაცული ვარ იმიტომ, რომ ჩვენს საცხოვრებელ ადგილას არსებობს უსაფრთხო თავშესაფრები (ბუნკერი), რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ	9	84	7	0

**კ11. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ...? (%)**

	სრულად ენდობი- თ	უფრო ენდობით , ვიდრე არა	უფრო არ ენდობით , ვიდრე ენდობით	საერთო დ არ ენდობით	არ ვიცი	უარი
<b>საქართველოს თავდაცვის სამინისტროს</b>	27	42	13	12	5	0
<b>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს)</b>	25	40	16	12	6	1
<b>საქართველოს პრემიერმინისტრის</b>	24	35	17	18	5	1
<b>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (სუს)</b>	22	37	16	12	13	0
<b>საქართველოს პრეზიდენტს</b>	16	35	21	20	7	1
<b>საქართველოს პარლამენტს</b>	16	31	24	22	6	1

**კ12. ბარათხე მოცემული ჩამონათვალიდან რომელი წარმოადგენს საქართველოს  
უსაფრთხოებისთვის ყველაზე მაღალ რისკს? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი (%)**

სიღარიბე	50
რუსეთიდან მომდინარე სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა	48
რუსეთ-უკრაინის ომი	23
კრიმინალი	22
ეკოლოგიური საფრთხეები / ბუნებრივი კატასტროფები	21
კოვიდ-19 პანდემია	13
უცხოელი მიგრანტების შემოსვლა	11
ბორდერიზაცია	11
დეზინფორმაცია	10
ადამიანების გატაცება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებიდან	9
ტერორიზმი	6
უვიზო რეესიმი რუსეთთან	4
ყარაბაღის ომი	0
სხვა	1
(არ ვიცი)	2
(უარი)	0

**კ13. თქვენს მიერ დასახელებულ რისკებზე თუ იფიქრებთ, რამდენად  
კარგად ან ცუდად ახერხებს საქართველო თავის დაცვას ამ  
რისკებისგან? (%)**

ძალიან ცუდად	17
უფრო ცუდად, ვიდრე კარგად	28
უფრო კარგად, ვიდრე ცუდად	40
ძალიან კარგად	9
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ14. გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?  
(%)**

მოსაზრება 1: საქართველოს უსაფრთხოების სისტემა საკმარისად კარგად მუშაობს და დამატებითი რეფორმები არ სჭირდება: სრულად ვეთანხმები	9
მოსაზრება 1: საქართველოს უსაფრთხოების სისტემა საკმარისად კარგად მუშაობს და დამატებითი რეფორმები არ სჭირდება: ნაწილობრივ ვეთანხმები	13
მოსაზრება 2: საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია და აუცილებელ რეფორმებს საჭიროებს - ნაწილობრივ ვეთანხმები	29
მოსაზრება 2: საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია და აუცილებელ რეფორმებს საჭიროებს - სრულად ვეთანხმები	40
არცერთს ვეთანხმები	1
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ15. რამდენად გრძნობთ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას, რომ უსაფრთხოების სამსახურები... თქვენ ამას გრძნობთ ყოველთვის, ზოგჯერ, თუ არასდროს? (%)**

	ყოველთვის	ზოგჯერ	არასდროს	არ ვიცი	უარი
უსმენენ თქვენს სატელეფონო საუბრებს	9	27	51	13	0
აკონტროლებუნ თქვენს სოციალური ქსელებს	5	15	60	18	1
პყავთ ინფორმატორები სამეზობლოში, თემში ან დასაქმების ადგილას	6	11	60	22	0
გითვალთვალებენ	1	5	81	13	0

**კ16. გრძნობთ თუ არა, რომ საქართველოში თქვენი ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენელთა უსაფრთხოება დაცულია? (%) (კითხვას უპასუხეს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის ნარმომადგენლებმა)**

სრულად დაცულია	42
უფრო დაცულია, ვიდრე არა	31
უფრო არ არის დაცული, ვიდრე დაცულია	12
საერთოდ არ არის დაცული	1
(არ ვიცი)	13
(უარი პასუხში)	0
ჯამი	100

**კ17. გთხოვთ, მითხრათ, ყველაზე მეტად ვისგან გრძნობთ  
საფრთხეს? (%) (კითხვას უპასუხეს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის  
ნარმომადგენლების იმ ნაწილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი  
ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენელთა უსაფრთხოება საქართველოში  
დაცული არ არის)**

რუსეთისგან	31
აზერბაიჯანისგან	27
თურქეთისგან	15
საქართველოს მთავრობისგან	15
სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან	5
რელიგიური ფუნდამენტალისტებისგან	3
საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისგან	2
სომხეთისგან	1
(არ ვიცი)	3
ჯამი	100

**კ18. ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რა ტიპის საფრთხეს გრძნობთ საქართველოში თქვენი<sup>1</sup>  
ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენლებისთვის? (%) (კითხვას უპასუხეს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის  
ნარმომადგენლების იმ ნაწილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენელთა  
უსაფრთხოება საქართველოში დაცული არ არის)**

თქვენი ენის დაკარგვის საფრთხე	23
პოლიციისა და სხვა ორგანოების მხრიდან თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების გადაჭარბებული კონტროლი და დასჯა	21
სოციალური დახმარების მოხსნის საფრთხე	19
სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენლებს შორის კონფლიქტის საფრთხე	10
თქვენი ეროვნული ტრადიციების დაკარგვის საფრთხე	3
თქვენი, თქვენი ოჯახისა და საქართველოში თქვენი ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენლების იძულება, რომ წახვიდეთ საქართველოდან	2
სხვა	0
(არ ვიცი)	22
ჯამი	100

### III ბლოკი: მოსახლეობის ინფორმირებულობა უსაფრთხოების ორგანოების საქმიანობაზე

**კ19. სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმაზე, თუ რას ნიშნავს  
უსაფრთხოება. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ასეთ დებულებას და  
მითხარით, ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მეტად რომელი  
შეესაბამება თქვენს შეხედულებას. (%)**

ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოება	29
ადამიანის ფიზიკური დაცულობა	23
პოლიტიკური სტაბილურობა	16
ეკონომიკური უსაფრთხოება	14
დეზინფორმაციისგან დაცულობა	5
გარემოსდაცვითი უსაფრთხოება	4
სხვა	1
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ20. თქვენი ინფორმაციით, რომელი სახელმწიფო უწყებებია  
პასუხისმგებელი ქვეყნის უსაფრთხოებაზე? (%)**

შინაგან საქმეთა სამინისტრო / პოლიცია	50
თავდაცვის სამინისტრო / ჯარი	45
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)	37
პრემიერმინისტრი	30
პრეზიდენტი	24
ეროვნული უსაფრთხოების საბჭო	16
სხვა*	4
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0

\*სხვა პასუხებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა: მთავრობა, ჯანდაცვის სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო.

**კ21. რამდენად კარგად იცნობთ შემდეგი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას? (%)**

	ძალიან კარგად	კარგად	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი	უარი	არ მსმენია ამ უწყების შესახებ
შინაგან საქმეთა სამინისტრო / პოლიცია	7	32	27	27	7	0	0
თავდაცვის სამინისტრო / ჯარი	7	32	24	28	9	0	1
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)	4	19	26	36	13	0	2
ეროვნული უსაფრთხოების საბჭო	4	14	22	37	15	0	9

**კ22-25. თქვენი აზრით, რა არის ... ძირითადი ფუნქცია/ები? (%) (კითხვას უპასუხეს  
მხოლოდ მათ, ვისაც შესაბამისი უწყების შესახებ სმენია)**

	შინაგან საქმეთა სამინისტროს / პოლიციის	სახელმწიფო უსაფრთხოები ს სამსახურის	თავდაცვის სამინისტროს / ჯარის	ეროვნული უსაფრთხოები ს საბჭოს
მოქალაქეების დაცვა	57	26	34	19
დანაშაულის გამოძიება	52	15	3	4
დანაშაულის პრევენცია	42	11	3	4
დამნაშავების დასჯა	41	12	3	3
ქვეყანაზე თავდასხმის მოგერიება / ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა	11	16	79	11
უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა	6	23	11	22
ანალიტიკური საქმიანობა	3	10	4	11
საშინაო დაზვერვა (ქვეყნის შიგნით)	3	26	10	11
საგარეო დაზვერვა	2	21	11	11
სხვა	1	0	0	0
(არ ვიცი)	3	19	6	40
(უარი)	0	0	1	0

**კ26. ვინ არის ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი?**

(%)

სწორი პასუხი (ვახტანგ გომელაური)	40
არასწორი პასუხი	10
(არ ვიცი)	50
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ27. ვინ არის ამჟამად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების**

**სამსახურის (სუს) ხელმძღვანელი? (%)**

სწორი პასუხი (გრიგოლ ლილუაშვილი)	15
არასწორი პასუხი	8
(არ ვიცი)	76
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ28. ვინ არის ამჟამად საქართველოს თავდაცვის მინისტრი? (%)**

სწორი პასუხი (ჯუანშერ ბურჯულაძე)	18
არასწორი პასუხი	9
(არ ვიცი)	73
(უარი პასუხზე)	1
ჯამი	100

**კ29. ვინ არის ამჟამად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების**

**საბჭოს მდივანი? (%)**

სწორი პასუხი (ვახტანგ გომელაური)	7
არასწორი პასუხი	7
(არ ვიცი)	86
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ30. გთხოვთ, მითხრათ, ძირითადად საიდან იღებთ ინფორმაციას შემდეგი სახელმწიფო უწყებების  
შესახებ? (%)**

	შინაგან საქმეთა სამინისტროს / პოლიციის	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის	თავდაცვის სამინისტროს / ჯარის	ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის
ტელევიზია	62	55	61	51
ონლაინ საინფორმაციო საშუალებები (სოციალური ქსელების გარდა)	3	3	2	2
სოციალური ქსელები	19	17	18	14
ამ უწყებების ვებგვერდები	0	0	0	0
ოჯახის წევრები/თანამშრომლები	3	2	3	1
რადიო	0	0	0	0
ბეჭდური მედია (გამოცემი/ჟურნალები)	0	0	0	0
სხვა	0	0	0	0
(არ ვიღებ ინფორმაციას)	10	20	13	28
(არ ვიცი)	1	2	2	4
(უარი პასუხზე)	0	0	0	0

**IV ბლოკი: მოსახლეობის აღმენი უსაფრთხოების ორგანოები**

**კ31. თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია სახელმწიფო**

**უსაფრთხოების სამსახური (სუს) პოლიტიკური/პარტიული**

**გავლენებისგან? (%)**

სრულიად თავისუფალია	8
უფრო თავისუფალია, ვიდრე არა	19
უფრო არ არის თავისუფალი, ვიდრე თავისუფალია	24
საერთოდ არ არის თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან	22
(არ ვიცი)	27
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ32-33. რამდენად ეფექტურად იცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)? (%)**

	ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს	ადამიანების პირადი უსაფრთხოების ინტერესებს
ძალიან ეფექტურად	9	8
უფრო ეფექტურად, ვიდრე არაეფექტურად	34	34
უფრო არაეფექტურად, ვიდრე ეფექტურად	21	25
ძალიან არაეფექტურად	8	10
(არ ვიცი)	28	24
(უარი პასუხზე)	0	0
ჯამი	100	100

**კ34. როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე (სუსი) ვსაუბრობთ, თქვენი აზრით,  
რამდენად ახასიათებს შემდეგი ამ სამსახურს ამჟამად - სრულად ახასიათებს, ნაწილობრივ,  
თუ საერთოდ არ ახასიათებს? (%)**

	სრულად ახასიათებს	ნაწილობრივ	საერთოდ არ ახასიათებს	არ ვიცი	უარი
პროფესიონალიზმი	23	46	11	20	1
პატრიოტიზმი	21	44	12	21	0
ადამიანის უფლებების პატივისცემა	18	47	15	19	1
ანგარიშვალდებულება	16	44	13	26	0
მიუკერძოებლობა	13	42	18	27	1
გამჭვირვალობა	12	40	24	24	0

**კ35. თქვენი აზრით, ბოლო შვიდ წელიწადში რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა  
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მუშაობა? (%)**

გაუმჯობესდა	26
[არ წაუკითხოთ] ივივე დარჩა	22
გაუარესდა	21
(არ ვიცი)	31
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ37. თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია საქართველოს შინაგან  
საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან? (%)**

სრულიად თავისუფალია	9
უფრო თავისუფალია, ვიდრე არა	23
უფრო არ არის თავისუფალი, ვიდრე თავისუფალია	26
საერთოდ არ არის თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან	21
(არ ვიცი)	20
(უარი პასუხშე)	1
ჯამი	100

**კ38. რამდენად ეფექტურად მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტრო? (%)**

ძალიან ეფექტურად	12
უფრო ეფექტურად, ვიდრე არაეფექტურად	39
უფრო არაეფექტურად, ვიდრე ეფექტურად	22
ძალიან არაეფექტურად	8
(არ ვიცი)	17
(უარი პასუხშე)	1
ჯამი	100

**კ39. როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე ვსაუბრობთ, თქვენი აზრით,  
რამდენად ახასიათებს შემდეგი ამ სამსახურს ამჟამად - სრულად ახასიათებს, ნაწილობრივ, თუ  
საერთოდ არ ახასიათებს? (%)**

	სრულად ახასიათებს	ნაწილობრივ	საერთოდ არ ახასიათებს	არ ვიცი	უარი
პატრიოტიზმი	24	47	13	15	0
პროფესიონალიზმი	24	50	11	14	0
ადამიანის უფლებების პატივისცემა	20	51	15	14	1
ანგარიშვალდებულება	19	47	13	20	1
მიუკერძოებლობა	16	47	16	20	1
გამჭვირვალობა	15	47	19	18	1

**კ40. თქვენი აზრით, ბოლო შვიდ წელიწადში რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა? (%)**

გაუმჯობესდა	31
[არ წაუკითხოთ] ივივე დარჩა	26
გაუარესდა	23
(არ ვიცი)	20
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ42. თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან? (%)**

სრულიად თავისუფალია	12
უფრო თავისუფალია, ვიდრე არა	24
უფრო არ არის თავისუფალი, ვიდრე თავისუფალია	23
საერთოდ არ არის თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან	17
(არ ვიცი)	22
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ43. რამდენად ეფექტურად მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო? (%)**

ძალიან ეფექტურად	14
უფრო ეფექტურად, ვიდრე არაეფექტურად	40
უფრო არაეფექტურად, ვიდრე ეფექტურად	18
ძალიან არაეფექტურად	8
(არ ვიცი)	20
(უარი პასუხზე)	0
ჯამი	100

**კ44. როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე ვსაუბრობთ, თქვენი აზრით, რამდენად ახასიათებს შემდეგი ამ სამსახურს ამჟამად - სრულად ახასიათებს, ნაწილობრივ თუ საერთოდ არ ახასიათებს? (%)**

	სრულად ახასიათებს	ნაწილობრივ	საერთოდ არ ახასიათებს	არ ვიცი	უარი
პატრიოტიზმი	35	41	9	14	0
პროფესიონალიზმი	31	46	9	15	1
ადამიანის უფლებების პატივისცემა	29	45	10	15	0
ანგარიშვალდებულება	24	44	11	21	0
მიუკერძოებლობა	20	45	13	21	1
გამჭვირვალობა	19	45	15	21	1

**კ45. თქვენი აზრით, ბოლო შვიდ წელიწადში რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მუშაობა? (%)**

გაუმჯობესდა	34
[არ წაუკითხოთ] იგივე დარჩა	26
გაუარესდა	19
(არ ვიცი)	21
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ46. რას მოიმოქმედებთ, თუკი უსაფრთხოების სამსახურები თქვენს უფლებებს დაარღვევენ? (%)**

მივმართავ ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს, რომლებიც ჩემს ინტერესებს დაიცავენ სასამართლოში და გამოძიებაში	32
მოვითმენ და ხმას არ ამოვიღებ რადგან უბრალო ადმინისტრაციის ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია	15
მივმართავ სასამართლოს	13
მივმართავ საქართველოს სახალხო დამცველს	11
მივმართავ პროკურატურას	4
მივმართავ მედიას / ურნალისტებს	3
მივმართავ პარლამენტს	1
მივმართავ პოლიტიკურ პარტიებს	0
სხვა*	2
მსგავსი რამ არ მოხდება	8
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხშე)	1
ჯამი	100

\*სხვა პასუხებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა: მივმართავ პოლიცია, არავის მივმართავ, აზრი არ აქვს.

## V ბლოკი: უსაფრთხოების სექტორი და მარმინალური პრეფერენცია

**კ47. თქვენი აზრით, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები ... იმაზე მეტად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე საჯიროა, სათანადოდ არიან წარმოდგენილნი, თუ იმაზე ნაკლებად, ვიდრე საჯიროა? (%)**

	იმაზე მეტად, ვიდრე საჯიროა	სათანადოდ	იმაზე ნაკლებად, ვიდრე საჯიროა	არ ვიცი	უარი
საქართველოს პარლამენტში	9	40	26	25	0
საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში	8	39	25	28	0
ადგილობრივ თვითმმართველობებში	8	43	22	27	0
პოლიტიკურ პარტიებში	8	41	23	29	0
მედიაში	7	45	22	26	0

**კ48. თქვენი აზრით, რამდენად თანასწორად ეპყრობა საქართველოში მცხოვრებ  
ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს... (%)**

	სრულიად თანასწორად	ძირითადად თანასწორად	ძირითადად უთანასწოროდ	სრულიად უთანასწოროდ	არ ვიცი	უარი
შინაგან საქმეთა სამინისტრო	32	42	9	2	15	0
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)	29	40	8	2	22	0

**კ49. გთხოვთ, დაასახელოთ 2012 წლის შემდეგ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი უსამართლობის მაგალითები? დაასახელეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი. (%)**

ბათუმში ასალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე ქართველი მუსლიმი თემისთვის ადგილობრივი ხელისუფლების უარი	22
სოფელ ჭელაში სახელმწიფოს მიერ მინარეთის მოქრის ფაქტი, რასაც თან ახლდა ადგილობრივი მუსლიმების ცემა	10
საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის ნოვრუზ ბაირამის უქმედ გამოცხადებაზე სახელმწიფოს უარი	9
გვარის დაბრუნების კამპანიაზე უარის თქმა	4
პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რიცხვის მკვეთრი შემცირება	3
სხვა	1
ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ უსამართლო მოპყრობის მაგალითები არ ყოფილა	16
(არ ვიცი)	50
(უარი პასუხშე)	2

**კ50. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე მოსაზრებას. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მათგანს? (%)**

	სრულად ეთანხმებით	უფრო ეთანხმებით, ვიდრე არა	უფრო არ ეთანხმებით, ვიდრე ეთანხმებით	საერთოდ არ ვიცი	არ ვიცი	უარი
ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები ისტორიულად საქართველოში ცხოვრობენ და უცხოები/სტუმრები არ არიან	56	27	9	5	3	0
ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები საქართველოს მოქალაქეები არიან და სახელმწიფო სრულად უნდა იცავდეს მათ უფლებებს	62	28	5	2	4	0

საქართველოს მთავრობამ მეტი ძალისხმევა უნდა გასწიოს ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების ჩასართავად სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა ისინი სრულად ინტეგრირებულნი იყვნენ საზოგადოებაში.	39	31	13	6	10	1
საქართველოს მთავრობამ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები იზოლაციაში უნდა მოაქციოს, რათა უკეთესად აკონტროლოს ისინი.	6	9	15	61	8	1

## VI ბლოკი: სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის მცხოვრებლები

**კ51. რამდენად კარგად/ცუდად იცნობთ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის  
რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან გამყოფი ხაზის სოფლებში  
არსებულ ვითარებას? (%)**

ძალიან კარგად	4
კარგად	28
ცუდად	36
ძალიან ცუდად	22
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ52. გთხოვთ, მითხრათ, ძირითადად საიდან იღებთ ინფორმაციას  
სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეგიონებთან  
გამყოფი ხაზის სოფლებში არსებული ვითარების შესახებ? (%)**

ტელევიზია	64
სოციალური ქსელები	16
ოჯახის წევრები/მეგობრები/თანამშრომლები	7
ონლაინ საინფორმაციო საშუალებები	3
ბეჭდური მედია (ჟურნალები/გაზეთები)	0
რადიო	0
სხვა	1
(არ ვიღებ ინფორმაციას)	8
(არ ვიცი)	2
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ53. თქვენი აზრით, რამდენად საკმარისია ან არ არის საკმარისი  
საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა  
რეგიონებში მიღებული უსაფრთხოების ზომები? (%)**

სრულიად საკმარისია	6
უფრო საკმარისია, ვიდრე არა	14
უფრო არ არის საკმარისი, ვიდრე საკმარისია	36
საერთოდ არ არის საკმარისი	30
(არ ვიცი)	15
(უარი პასუხშე)	0
ჯამი	100

**კ54. რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ გამყოფი ხაზის  
სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების  
უზრუნველსაყოფად? (%)**

უფრო მკაცრად გააკონტროლონ გამყოფი ხაზის გარშემო ადმინისტრაციული საზღვარი	38
გააძლიერონ პოლიციის მუშაობა ამ რეგიონებში მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად	21
აქ მცხოვრებ ოჯახებს დამატებითი სოციალური დახმარება/შეღავათები მისცენ.	16
აქ მცხოვრებ ოჯახებს მიანიჭონ ომით დაზარალებულის სტატუსი	7
ამ სოფლებში განავითაროს ინფრასტრუქტურა	5
სხვა	1
(არ ვიცი)	12
(უარი პასუხშიე)	0
<b>ჯამი</b>	<b>100</b>